

ფსიქოლოგიის ზოგადი კურსი



თბილისის გეშტალტ ინსტიტუტი
tbilisigestalt.ge info@tbilisigestalt.ge

სილაბუსი

| | |
|----------------------------|--|
| <p>პროექტის სახელი</p> | <p>ფსიქოლოგიის ზოგადი კურსი</p> |
| <p>ლექტორები</p> | <p>ლანა რუაძე კლინიკური ფსიქოლოგი, პრაქტიკოსი გეშტალტ თერაპევტი, ფსიქიატრიული სათემო მობილური გუნდის ფსიქოლოგი, ბავშვთა და მოზარდთა კრიზიული ინტერვენციის სამსახურის ფსიქოლოგი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის“ ფსიქოლოგი, საქართველოს გეშტალტ თერაპევტთა ასოციაციის წევრი - კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი ფსიქოლოგიის მაგისტრი.</p> <p>Mail: Lanaruadze02@gmail.com</p> <p>Mob: 577 300329;</p> <p>მარიამ მაჭავარიანი ფსიქოლოგი, პრაქტიკოსი გეშტალტ თერაპევტი, საქართველოს გეშტალტ თერაპევტთა ასოციაციის წევრი, თბილისის სამედიცინო აკადემიის ლექტორი, თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტთა საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი.</p> |

| | |
|--|--|
| | <p>Mail: Mariammatchavariani9@gmail.com</p> <p>Mob: 596 10 10 07</p> |
| <p>კურსის ხანგრძლივობა</p> | <p>11 თვე</p> <p>თვეში ერთი მოდული, რომელიც მოიცავს 2 ინტენსიურ შეხვედრას</p> |
| <p>დღეებისა და საათების განაწილება</p> | <p>შაბათ-კვირას, 3-4 საათი</p> |
| <p>სწავლების მეთოდები</p> | <ul style="list-style-type: none"> • ინტერაქციული ლექციები; სემინარი (მოკლე, საინტერესო, ვიზუალური მასალებით); • დემონსტრირების მეთოდი; • ჯგუფური აქტივობები (როლური თამაში, ექსპერიმენტები); • დისკუსია; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; • შემთხვევის ანალიზი; • ქუიზები და პრეზენტაციები; • რეფლექსია (დღიურები, თვითშეფასებები). |
| <p>მიზანი</p> | <p>ფსიქოლოგიის ძირითადი სფეროების გაცნობა, საგნის კვლევითი და რეალურ სამყაროში გამოყენების უნარის განვითარება.</p> |

| | |
|--|---|
| სამიზნე ჯგუფი | ნებისმიერი ასაკის და პროფესიის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ფსიქოლოგიის შესწავლით. |
| რატომ უნდა აირჩიონ სტუდენტებმა ეს კურსი? | ეს კურსი უნიკალური შანსია მათთვის, ვისაც სურს არა მხოლოდ თეორიის მოსმენა, არამედ პირადი გამოცდილებისა და პრაქტიკული აქტივობების საშუალებით ფსიქოლოგიის შესწავლა. სწავლების პროცესში გამოყენებულია ინტერაქტიული მეთოდები: როლური თამაშები, ჯგუფური დისკუსიები, ქვისების ანალიზი, სიმულაციები და მინი-კვლევები, რაც ხელს უწყობს ცოდნის ღრმად ათვისებასა და მის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას. |
| კურსის აღწერა | ფსიქოლოგიის კურსი შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს შესთავაზოს საფუძვლიანი და თანამედროვე ხედვა ადამიანის გონებისა და ქცევის შესასწავლად. კურსი აერთიანებს როგორც თეორიულ საფუძვლებს, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის გამოყენებას რეალურ სიტუაციებში. |
| სასწავლო შედეგები და კომპეტენციები | <p>კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაეცნობა ფსიქოლოგიის ისტორიულ განვითარებას, ძირითად თეორიებსა და თანამედროვე მიმართულებებს; • შეძლებს ადამიანის ტვინისა და ნერვული სისტემის სტრუქტურებისა და ფუნქციების ახსნას და მათ ქცევასა და ფსიქიკურ აშლილობებთან დაკავშირებას; |

- გაითავისებს პიროვნების, კოგნიტური, ემოციური და სოციალური განვითარების ძირითად მოდელებს;
- ახსნის სწავლების, მეხსიერებისა და მოტივაციის პროცესებს და შეძლებს მათ დაკავშირებას ყოველდღიურ ქცევასთან;
- ამოიცნობს სოციალური გავლენის, ჯგუფური დინამიკისა და სტრესის როლს ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრებაში;
- გაეცნობა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოპათოლოგიის ძირითად ცნებებს და DSM-5-ICD-11 კლასიფიკაციებს, შეძლებს ძირითადი აშლილობების ამოცნობასა და აღწერას;
- დაეუფლება ფსიქოლოგიური კვლევის ძირითადი მეთოდების გამოყენებასა და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებას.

კომპეტენციები:

- კრიტიკული და რეფლექსური აზროვნება;
- სამეცნიერო ტექსტების წაკითხვისა და ანალიზის უნარი;
- სტრუქტურირებული ჩანაწერებისა და პრეზენტაციების მომზადება;
- პრაქტიკული უნარები: შემთხვევის განხილვა, როლური სავარჯიშოები; ექსპერიმენტულიაქტივობები;
- მცირე კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება;
- აკადემიური წერითი და პრეზენტაციული უნარების განვითარება.

რატომ არის ეს კურსი განსაკუთრებული ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე?

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფსიქოლოგიის კურსები ხშირ შემთხვევაში ან ზედაპირულად ასახავენ თეორიულ ნაწილს, ან მხოლოდ ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე არიან კონცენტრირებულნი. ეს კურსი გამოირჩევა იმით, რომ აერთიანებს როგორც კლასიკურ თეორიებს, ისე თანამედროვე კვლევებს, და ამავე დროს სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულად გამოსცადონ მიღებული ცოდნა ინტერაქციული დავალებების, როლური თამაშებისა და კვლევითი პროექტების საშუალებით. მისი განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს (DSM-5, ICD-11, თანამედროვე კვლევითი მიდგომები), თუმცა მაქსიმალურადაა მორგებული ქართულ კონტექსტს, კულტურულ თავისებურებებსა და ადგილობრივ საჭიროებებს. ამ გზით კურსი სტუდენტებს სთავაზობს უნიკალურ ბალანსს – უნივერსალური ცოდნისა და ლოკალური რეალობის გათვალისწინებით.

სასწავლო რესურსები და დამატებითი აქტივობები

კურსის განმავლობაში სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებითა და ლიტერატურით. თითოეული მოდულის მიხედვით მიეწოდებათ როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი საკითხავი მასალა, რომელიც მოიცავს თანამედროვე სამეცნიერო სტატიებს, სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ პლატფორმებს.

გარდა საკითხავისა, სტუდენტებს ექნებათ სამუშაო მასალა – სავარჯიშოები, ქეისები და ინტერაქციული დავალებები, რომლებიც დაეხმარებათ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანაში.

კურსი ასევე მოიცავს პერიოდულ გამოკითხვებსა და ქვიზებს, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეაფასონ საკუთარი პროგრესი და უკეთ დაიმახსოვრონ სასწავლო მასალა. ქვიზები წარმოდგენილი იქნება როგორც ტექსტური, ისე ღია კითხვების ფორმატში, რაც უზრუნველყოფს როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე ანალიტიკური უნარების შეფასებას.

კურსის ბოლოს სტუდენტების მიერ შემუშავებული სამი საუკეთესო რეფერატი გამოქვეყნება საქართველოს გეშტალტ თერაპიის ჟურნალში.

კურსის თემატიკა მოდულების მიხედვით

მოდული 1 - შესავალი ფსიქოლოგიასა და ადამიანის ქცევში

- რა არის ფსიქოლოგია? - ისტორია (ფილოსოფიური საფუძვლები)
- ანტიკური პერიოდი – სოკრატე („იციან თავი შენი“), პლატონი (სულის სამწევროვანი მოდელი), არისტოტელე (დე ანიმა), სტოიკოსები (ემოციების მართვა).
- შუა საუკუნეები – ავგუსტინე (ინტროსპექცია, შინაგანი გამოცდილება), ტომა აკვინელი(არისტოტელეს ქრისტიანული ინტერპრეტაცია)
- ახალი ხანა – დეკარტი (გონება–სხეულის დუალიზმი), ჰობსი და ლოკი (ემპირიზმი), ლაიბნიცი(პატარა აღქმები, უგონოს იდეა), ჰიუმი (ასოციაციონიზმი), კანტი (ტრანსცენდენტალური ცნობიერება).
- მეცნიერული ფსიქოლოგიის დაბადება
- ფეხნერი და ფსიქოფიზიკა – შეგრძნებების საზომები.
- ვილჰელმ ვუნდტი – პირველი ლაბორატორია, ინტროსპექციის მეთოდი.
- პირველი სკოლები:
 - სტრუქტურალიზმი – გონების ელემენტების ანალიზი (ვუნდტი, ტიტჩენერი).
 - ფუნქციონალიზმი – ცნობიერება როგორც ადაპტაციის ინსტრუმენტი (უილიამ ჯეიმსი, დიუი).
- ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები (ბიჰევიორისტული, ფსიქოანალიტიკური, ჰუმანისტური, გემტალტი და კოგნიტური ფსიქოლოგია);
- ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება: თეორია vs. პრაქტიკა;
- ფსიქოლოგიის ძირითადი სფეროები: კლინიკური, სოციალური,

კოგნიტური, განვითარების, ბიოლოგიური.

აქტივობა: დისკუსია – „ფსიქოლოგია ყოველდღიურ ცხოვრებაში“; მოკლე შემთხვევების ანალიზი.

შედეგები: ფსიქოლოგიის ისტორიული განვითარების ეტაპების აღქმა და ძირითადი სკოლებისგამიჯვნა; თანამედროვე ფსიქოლოგიის მიმართულელებისა და გამოყენების სფეროების გაგება.

კომპეტენციები: კრიტიკული აზროვნება და რეფლექსიური ანალიზი; ცოდნის დაკავშირებაყოველდღიურ გამოცდილებასთან.

მოდული 2 - ტვინი, გონება და ქცევა

ბიოლოგიური საფუძვლები

1. ნეირონის სტრუქტურა: დენდრიტები, აქსონი, სინაფსი.
2. მემბრანული პოტენციალი და მოქმედების პოტენციალი (action potential).
3. სინაფსური გადაცემა: ელექტრული vs. ქიმიური.
4. ძირითადი ნეიროტრანსმიტერები:
 - დოპამინი (reward, მოტივაცია, შიზოფრენია, პარკინსონი).
 - სეროტონინი (მოწყობილობა, დეპრესია).
 - აცეტილქოლინი (სწავლა, მეხსიერება, ალცჰაიმერი).
 - ნორადრენალინი (აღზნება, fight-or-flight).
 - GABA და გლუტამატი (ინჰიბიცია/აგზნება).

ტვინის სტრუქტურა და ფუნქცია:

1. Brainstem: სუნთქვა, გულისცემა, ძირითადი გადარჩენის მექანიზმები.
2. Cerebellum: მოძრაობის კოორდინაცია, მოტორული სწავლა.
3. Limbic system: ემოცია, მეხსიერება (ამიგდალა, ჰიპოკამპი).
4. Basal ganglia: მოძრაობა, მოტივაცია

5. Cerebral cortex:

- Frontal lobe: აღმასრულებელი ფუნქციები, გადაწყვეტილება, მოტორიკა.
- Parietal lobe: სომატოსენსორული შეგრძნება, სივრცითი წარმოდგენა.
- Temporal lobe: სმენა, ენა, მეხსიერება.
- Occipital lobe: მხედველობა.
- ტვინის ნახევარსფეროები და lateralization (Broca's და Wernicke's უბნები).

ნეიროპლასტიკურობა და განვითარება

- ნეირონული კავშირების ფორმირება
- კრიტიკული პერიოდები (მაგ. ენის განვითარება).
- ტვინის აღდგენა დაზიანების შემდეგ.

ბიოლოგიური რითმები და ცნობიერება

- Circadian rhythms – suprachiasmatic nucleus, მელატონინი.
- ძილის სტადიები (REM/NREM) და ტვინის აქტივობა.
- ცნობიერება: ძილი, სიზმრები და შეცვლილი მდგომარეობები;

ბიოლოგიური საფუძვლები ფსიქოპათოლოგიაში

- დეპრესიის ნეიროქიმია (სეროტონინის ჰიპოთეზა).
- შიზოფრენია და დოპამინის დისბალანსი.
- ნეიროდეგენერაციული დაავადებები (ალცჰაიმერი, პარკინსონი).

აქტივობა: აღქმის ილუზიები, რეაქციის დროის ექსპერიმენტები; ქუიზი განვლილი მასალის შესახებ.

შედეგები: ნეირონის, ნეიროტრანსმიტერების და ტვინის ძირითადი სტრუქტურების ფუნქციების აღწერა; ბიოლოგიური საფუძვლების დაკავშირება ქცევასა და ფსიქიკურ აშლილობებთან.

კომპეტენციები: სამეცნიერო ტექსტის წაკითხვისა და ანალიზის უნარი; ექსპერიმენტული დასადემონსტრაციო აქტივობების შედეგების ინტერპრეტაცია.

მოდული 3 - პიროვნება და განვითარება

- ცხოვრების ციკლი: ბავშვობიდან ზრდასრულობამდე;
- კოგნიტური განვითარება (პიაჟე, ვიგოტსკი);
- პიროვნების თეორიები (ფროიდი, იუნგი, პიროვნული თვისებების თეორია, დიდი ხუთეული);
- დ. უზნადის - „განწყობის ფსიქოლოგია“
- ემოციური და სოციალური განვითარება (მიჯჭავულობის თეორია (ბოულბი), ერიქსონი ეტაპები).

აქტივობა: როლური თამაშები განვითარების ეტაპებზე, თვითრეფლექსია პიროვნულ თვისებებზე; ქუიზი განვლილი მასალის შესახებ.

შედეგები: განვითარების ძირითადი თეორიების (პიაჟე, ვიგოტსკი, ერიქსონი) გაგება და ახსნა; პიროვნების თეორიებისა და დიდი ხუთეულის გამოყენება პრაქტიკულ მაგალითებში;

კომპეტენციები: თვითრეფლექსია და საკუთარი განვითარების ანალიზი; გონებრივი რუკებისა და სტრუქტურირებული ჩანაწერების გამოყენება (კორნელის სისტემა / გონებრივი რუკები).

მოდული 4 - კოგნიტური ფსიქოლოგია

კოგნიტური ფუნქციები:

- გრძნობა და აღქმა – როგორ აღვიქვამთ გარემოს სტიმულებს და როგორ ვქმნით მათგან მთლიანსურათს.
- ყურადღება – როგორ ვკონცენტრირდებით გარკვეულ სტიმულებზე და ვფილტრავთ სხვებს.
- მეხსიერება – მოკლევადიანი და გრძელვადიანი მეხსიერების სტრუქტურა და პროცესები; სამუშაო მეხსიერება.
- ენობრივი პროცესები – ენის აღქმა, გაგება, მეტყველების წარმოქმნა, ბილინგვიზმი.

- ფიქრი და პრობლემის გადაჭრა – როგორ ვაგებთ ჰიპოთეზებს, ვგეგმავთ და ვპოულობთ გადაწყვეტილებებს.
- გადაწყვეტილების მიღება – როგორ ვაფასებთ ალტერნატივებს, როლი ევრისტიკა დამიკერძობების.
- შემეცნებითი განვითარება – როგორ იცვლება კოგნიტური ფუნქციები ბავშვობიდან მოზარდობამდე და სიბერემდე.
- მეტაკოგნიცია – საკუთარი ფიქრის, სწავლისა და მეხსიერების კონტროლი და შეფასება.

სწავლა, დასწავლის მექანიზმები

- როგორ ვსწავლობთ: კლასიკური განპირობება, ოპერანტული განპირობება, დაკვირვებითი სწავლება;
- მეხსიერების პროცესები: კოდირება, შენახვა, აღდგენა, დავიწყება;
- მოტივაცია და ემოცია: რატომ ვიქცევით ისე, როგორც ვიქცევით.

აქტივობა: მეხსიერების ექსპერიმენტები, მოტივაციური თამაშები (მიზნების დასახვა, დაჯილდოების დავალებები); ქუიზი განვლილი მასალის შესახებ.

შედეგები: ძირითადი სწავლების მექანიზმების (კლასიკური, ოპერანტული, დაკვირვებითი) ახსნა; მეხსიერების პროცესებისა და მოტივაციის ძირითადი თეორიების გაცნობა.

კომპეტენციები: აკადემიური პრეზენტაციის წარმოება მცირე ჯგუფში; თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გადატანა ექსპერიმენტებისა და დავალებების მეშვეობით.

მოდული 5 - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოპათოლოგია

- ფსიქიკური ჯანმრთელობის ცნებები, ნოზოლოგია, DSM-5 და ICD-11
- სტრესი, გამკლავება და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესავალი;
- აშლილობათა ჯგუფები:
 - გუნება-განწყობის აშლილობები;

- ნევროზული და ფსიქოზური სპექტრის აშლილობები;
- ნეიროგანვითარებითი, პიროვნული და ნივთიერებებით გამოწვეული აშლილობები,

აქტივობა: როლური სავარჯიშოები; კითხვარების შევსება; შემთხვევების განხილვა; ქუიზი განვლილი მასალის შესახებ.

შედეგები: სტუდენტი შეძლებს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოპათოლოგიის ძირითადი ცნებების გაგებას, DSM-5 და ICD-11 მიხედვით აშლილობების ამოცნობას და აღწერას, ასევე შემთხვევების განხილვისა და როლური სავარჯიშოების მეშვეობით მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას;

კომპეტენციები: შემთხვევის განხილვა და დიაგნოსტიკური კრიტერიუმების გამოყენება; როლურ სავარჯიშოებისა და კითხვარების პრაქტიკული გამოყენება.

მოდული 6 - სოციალური ფსიქოლოგია

- ჯგუფური დინამიკა, კონფორმიზმი, მორჩილება (აში, მილგრემი, ზიმბარდო);
- გარეგანი, შინაგანი ლოკუსი
- პრაიმინგი
- პრეჯუდიცები, სტერეოტიპები და პროსოციალური ქცევა;

აქტივობა: სოციალური ექსპერიმენტები (უსაფრთხო სიმულაციები კლასში), დებატები ეთიკურ საკითხებზე; ქუიზი განვლილი მასალის შესახებ.

შედეგები: სოციალური გავლენის, ჯგუფური დინამიკისა და სტერეოტიპების ამოცნობა.

კომპეტენციები: არგუმენტირებული დისკუსია და კრიტიკული აზროვნების გამოყენება; ეთიკურ საკითხების გაანალიზება სოციალური ექსპერიმენტების მაგალითზე.

მოდული 7 – ფსიქოთერაპია, მიმდინარეობები და კარიერული წინსვლის ორიენტაცია

- ფსიქოთერაპიის ისტორია და განვითარება
- თერაპიის მიზნები და ფუნქციები
- თერაპიული ურთიერთობის პრინციპები (ემპათია, კონტაქტი, უსაფრთხოება)

ფსიქოანალიზური და ფსიქოდინამიკური მიდგომები

- ზ. ფროიდის ფსიქოანალიზი (არაცნობიერი, დაცვის მექანიზმები, ტრანსფერი)
- ობიექტურ ურთიერთობათა თეორიები (M. Klein, W. Winnicott)
- თვითობის ფსიქოლოგია (H. Kohut)
- თანამედროვე ფსიქოდინამიკური ინტერვენციები

ბიჰევიორალური თერაპია

- კლასიკური და ოპერანტული დამთხვევა (Pavlov, Skinner)
- ქცევითი მოდიფიკაცია
- ექსპოზიციული თერაპიები და სისტემური დესენსიბილიზაცია

კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია (CBT)

- აარონ ბეკის კოგნიტიური თერაპია
- ალბერტ ელისის რაციონალურ-ემოციური თერაპია (REBT)
- თანამედროვე CBT მოდელები (Schema Therapy, ACT, DBT)

ჰუმანისტური და ეგზისტენციალური თერაპიები

- კლიენტზე ორიენტირებული თერაპია (C. Rogers)
- ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია (Yalom, Frankl, May)
- პიროვნული ზრდა, თავისუფლება და პასუხისმგებლობა

გემტალტ თერაპია

- ფ. პერლსის საფუძვლები (კონტაქტის ციკლი, „აქ და ახლა“)
- ველური თეორია და ფენომენოლოგია

- გეშტალტ ტექნიკები (ცარიელი სკამი, ექსპერიმენტები)

სისტემური და ოჯახური თერაპიები

- სტრუქტურული ოჯახური თერაპია (Minuchin)
- სტრატეგიული თერაპია (Haley, Milan group)
- ნარატიული თერაპია
- ოჯახური ინტერვენციები

ინტეგრაციული და თანამედროვე მიდგომები

- ინტეგრაციული ფსიქოთერაპია
- ემოციზე ორიენტირებული თერაპია (EFT)
- სხეულზე ორიენტირებული თერაპიები (Reich, Lowen, Somatic approaches)
- ტრავმაზე ორიენტირებული თერაპიები (EMDR, Somatic Experiencing)
- მოკლე სტრატეგიული თერაპია

ფსიქოთერაპიული ეთიკა, პროფესიული და პიროვნული ზრდა

- ფსიქოთერაპია დეპრესიის, შფოთვისა და ტრავმის დროს
- ჯგუფური ფსიქოთერაპია
- ეთიკა და კულტურული კონტექსტი
- თერაპევტის პიროვნული განვითარება და სუპერვიზია

აქტივობა: დისკუსია; როლური თამაშები და სიმულაციები: თერაპიული ურთიერთობის დამყარება, ემპათიური მოსმენა, „ცარიელი სკამი“, ქცევითი ინტერვენციები, ოჯახური სესიების მოდელირება; შემთხვევების ანალიზი: რეალური ან სიმულაციური ქეისების განხილვა სხვადასხვა თერაპიული თვალსაზრისით.

შედეგები: იცის ფსიქოთერაპიის ისტორია და ძირითადი თეორიები; ესმის თერაპიული ურთიერთობის მნიშვნელობა და პრინციპები; შეუძლია სხვადასხვა თერაპიული მიდგომის ახსნა და შედარება; ფლობს პრაქტიკული ინტერვენციების საწყის უნარებს.; იცავს ეთიკურ პრინციპებს და აფასებს კულტურულ კონტექსტს.

კომპეტენციები: თეორიული ცოდნის ინტეგრაცია პრაქტიკულ მუშაობაში.;

ემპათიური კომუნიკაცია და უსაფრთხო გარემოს შექმნა; შემთხვევების ანალიზი სხვადასხვა მოდელით; თვითრეფლექსიისა და პროფესიული განვითარების უნარი; ეთიკური გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობა.

მოდული 8 - ფსიქოლოგია, როგორც კარიერა და კვლევითი უნარები

- ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები: ექსპერიმენტები, გამოკითხვები, ინტერვიუები, შემთხვევის ანალიზი;
- ეთიკა ფსიქოლოგიაში;
- გამოყენება: კლინიკური ფსიქოლოგია, კონსულტირება, განათლება, ორგანიზაციული, სასამართლო ექსპერტიზა;
- როგორ წავიკითხოთ აკადემიური ტექსტები, როგორ დავწეროთ ესეები;
- პრეზენტაციების წარდგენა.

აქტივობა: მინი-კვლევითი პროექტი (მცირე კვლევის შემუშავება და პრეზენტაციის დაგეგმვა); ქუიზი განვლილიმასალის შესახებ.

შედეგები: ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების (ექსპერიმენტი, ინტერვიუ, შემთხვევის ანალიზი) გაცნობა; ფსიქოლოგიის ეთიკური სტანდარტების ცოდნა; ფსიქოლოგიის სფეროებში კარიერულიშესაძლებლობების აღქმა.

კომპეტენციები: მცირე კვლევითი პროექტის დაგეგმვა და პრეზენტაცია. აკადემიური ტექსტების წაკითხვისა და ესეს წერის საფუძვლების დამუშავება.

